ალექსანდრე ჭავჭავაძე

დრამატული პოეზია

ორ ტომად

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი 1973

ალექსანდრე ჭავჭავაძე

დრამატული პოეზია

ტომი II

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი 1973

იმ სატანჯველში და შემდეგ, ქრისტიანულად რომ ვთქვათ, ოჯახიც წაუწყმიდე, შეგლალე, შეგლალე-მეთქი, ოლია, არათუ ჯვარი არ დაგიწერია, ერთხელაც მასთან ეკლესიაში არ შესულხარ და ერთად არ გილოციათ. მე განა გული არ მიწრიალებს, როდესაც ყველა ამას ვიგონებ! აი, მესმის, შენგან განწირულ ბორისს უვალობენ, „მსხვერპლი გახდიო“... ახლა მოგვშორდი, მეზარები!

შ ა ლ ი ნ ი

მე ვამბობ, ეს ტყუილია, სულ ტყუილია. სიკვდილის წინ, რასაც ის ბოდავდა დამტკიცება უნდა... (აპირებს წასვლას.)

დ ე დ ა

დამტკიცებაო, ნუთუ ჩვენთვის არასოდეს არ იქნება სიმართლე?! (უცბად შემკრთალი.) ააჰ! სისხლს ფეხი არ დაადგა! (წამოდგება.) მანდ აწვეთია... — ხალხი იძახის, მისი სისხლი წმინდაა. (შალინი მიდის. კარს მაგრად გაიხურავს. დუმილია კანკალით მიდის ოლიასთან. ჩახედავს ნაღვლიან თვალებში და ჩაიკეცება.) ხალხი ზეიმით ჰქუხს და ნუთუ ჩვენ გზაჯვარედინზე ვრჩებით. მე სიკვდილის მეტი არაფერი არ მინდა, ოღონდ შენ არ გეღირსება ცხოვრება!..

ო ლ ი ა

დედა!

დ ე დ ა

ამაზე უფრო მეწვის გული, გაიმარჯვაო რომ ყვირიან. ამის თქმა დედისათვის, როცა მკვდარ შვილს დაჰყურებს, ულმერთობაა!

ო ლ ი ა

მართალი ხარ, დედა. ახლა მთელ მის ცხოვრებას ვხედავ. ის გამარჯვების დღეს მოკვდა, მაგრამ რომ ეცოცხლა, ისეთი უანგარო იყო, ეგებ ისევ დაეჩაგრათ... ფანჯრიდან დავინახე მისი ძველი მტრები, რომელნიც ახლა, თავის გამოსაჩენად ყვავილების გვირგვინით რთავენ მის გვამს.

1917

ჯანკოჩიორნი

ლიბრეტო ოპერისათვის

მოჭმედი პირები

გულქანა, ნაცარქექიას ცოლი.
ფატი, სვიმონ ხანის პირველი ცოლი ჰარამხანაში.
მუსუსელა.
ქოსატყუილა.
სვიმონხანი.
ნაცარქექია.
მეფე.
როსტომ ბრძენი.
დოყლაპია.

მთავარი კონსტანტინე მთავარი გვანგვა სახლთ-უხუცესი ხევის ბატონი ერისთავი ათაბაგი	ნამდვილ დიდებულთა ნათესავნი, სამეფოს მოღალატენი, სვიმონ ხანის მიერ ძალით განდიდებულნი.

პირველი მხლებელი.
მეორე მხლებელი.
პირველი მეთაური.
მეორე მეთაური.
ნაცარქექიას რაზმელები.

მოქმედება პირველი

ნაცარქექია და როსტომ ბრძენი მუსაიფობენ. ცეცხლზე დგას ქოთანი. ნაცარქექია ჩხირით ნაცარს ქექავს.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

როსტომ!

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი

კი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ინდოეთის მეფის გვარგვინი რამოდენაა?

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი

დიდია!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

წმიდა გიორგის ძლიერი ხმალი კიდევ არის, თუ დაკარგულია?

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი

ის საქართველოს მეფეებს ერგო, მაგრამ ქარქაში ვერ მოუძებნეს!

გ უ ლ ქ ა ნ ა

ეჰ, როსტომ ბრძენო, შენ ჩემი ქმარი გააზარმაცე მთლად უარესად.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

როსტომ!

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი

კი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

საპერძნეთის კეისარს სადა ჰყავს ქალი?

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი

ბროლ-შუშაბანდში.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

როგორი არის?

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი

ულვნიერია.

გ უ ლ ქ ა ნ ა

ეჰ, თუ ბოსტანში შევიდა ლორი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა (გულქანას)

ხმა გაკმიდე, ეშმაკს გევხარ!

გ უ ლ ქ ა ნ ა

სულსაც მიგინებ? (აღშფოთებული გადააბრუნებს ქვაბს ცეცხლზე. ცეცხლი ჩაქრება.) ცეცხლმა ჭამოს!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა (სასოწარკვეთილებით)

ფაფა დაღვარე! (ცოტა ხნის შემდეგ როსტომს.) **როსტომ!** (როსტომი დუმს.) ხმა გამეც!

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი (დუმილის შემდეგ)

ფაფა თუ არ დულს, რაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

რა სტუმართან შევრცხვი კაცი?! (გულქანას.) ჩქარა, ცეცხლი გააჩაღე!

გ უ ლ ქ ა ნ ა

ვერ მოგართვი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ქოხში ცივა!

გ უ ლ ქ ა ნ ა

ვამიჭირდა თქვენი რჩენა!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

აბა, მე წავიდე?

გ უ ლ ქ ა ნ ა

წადი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

მივდივარ, მომითრევს ვინმე ცხელ მუგუზალსა
შენ კი სახლიდან გადაიკარგე.
თორემ თუ დამხვდი, გაგიპობ თავსა!

(ნაცარქექია გადის გარეთ; გულქანა შედის ბოსელში. როსტომს ეთვლიმება და ჩაეძინება, შემოყოფს თავს მუსუსელა, გაიხედ-გამოიხედავს, შეხედავს როსტომს.)

მ უ ს უ ს ე ლ ა

ეს სად ყოფილა! (უძახის ქოსატყუილას.) ე, ქოსატყუილა! (შემოდის ქოსატყუილა.) ბრძენი ვნახე!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

მაშ, მომშორდი, გული უნდა გადავუშალო!

გ უ ლ ქ ა ნ ა (გამოიხედავს ბოსლიდან)

უცხოებია!.. (უკანვე ბოსელში შებრუნდება.)

მ უ ს უ ს ე ლ ა (თოფნაკრავივით)

ქალის ხმა!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (მუსუსელას)

ნახე! (მუსუსელა შედის ბოსელში. ქოსატყუილა მიუბრუნდება როსტომ ბრძენს.) გაიღვიძე, როსტომ ბრძენო!

რ ო ს ტ ო მ ი (თვალებს იფშვნეტს)

რისთვის მნახეთ?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

გადაბრუნდა ხალხის გული,
არვის სწყინობს ტანჯვა სხვისა,
აღარც კაცი კაცათა სწამთ,
არცა სჯერათ მადლი ცისა.
აირია ეს ქვეყანა,
ცრემლი სცრის და სისხლი წვიმსა!..
შინაურებს მოჰყავთ მტრები
მოყვარეთა სალაფავად,
ყველა სხვის ნაშრომსა ეძებს
წასაგლეჯად, საყლაპავად.
ისე სცრუობს მთელი ერი,
რომ თვითონ მე, ქოსატყვილამ
ვერავინ ვერ მოვატყუე.
გამახუნეს, დამაჩუმეს,
და შიმშილით სული მძვრება...
თუ სიმართლე აღარ ფასობს
ტყვილი რაღად გასაღდება?!

რ ო ს ტ ო მ ი

მე რა გიწამლო?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ხალხს უქადაგე,
აღსდგეს სიმართლე,
იყოს დანდობა კაცის სიტყვისა,
და მერე კვალში გამოგიდგები!

ბოსლიდან გულქანა გამოაგდებს მუსუსელას, მუსუსელა წელის თრევით მოდის.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (მუსუსელას)

რად მარცხვენ ბრძენთან. (მიდის ბოსელში.)

რ ო ს ტ ო მ ი

ვის შევეყარე!..

მ უ ს უ ს ე ლ ა

როსტომ ბრძენო, მომისმინე!
მუსუსელა ვარ, ტურფა ქალებთან,
ამომდიოდა პირით ვარდები,
მაგრამ დროება გამოიცვალა,
შემომესია გულში დარდები
ქალი არ ეძებს კაცის სიყვარულს,
ქათინაურით არ იხიბლება,
მამაკაცები სინდისს კარგავენ,
დედაკაცები სულ მთლად გარყვნილა...
როსტომ ბრძენო, გამიგია
შენი დიდი ჭკუის ქება,
ხალხს ზნეობა ჩააგონე,
დედაკაცებს ნაზი გრძნობა!..

შემოდის ქოსატყუილა.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

როსტომ, სიმართლის მოსპობას ვტირი!

მ უ ს უ ს ე ლ ა

ზნეობის დაქვეითებას!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა, მ უ ს უ ს ე ლ ა (ერთად)

ბრძენი ხარ და შენგან ვითხოვთ
ისეთ რჩევა-დარიგებას,
რომ ლაგამი გაუჭედოთ ბოროტებას!

ر ო ს ტ ო მ ი

ყველას თავ-თავის ჭკუით გაუმარჯოს!..

სცენის იქიდან ისმის გუნდის, მეფისა და მისი ამალის მოახლეების ხმა.

პ ი რ ვ ე ლ ი გ უ ნ დ ი (კულისებში)

რა ვნახეთ — სივაგლახე,
დავგლახდით, დავიძრახეთ,
მეფე მტერს გამოჭცევია,
ჭკუას ჰკითხავს გლახაკსა!

მ ე ო რ ე გ უ ნ დ ი (კულისებში)

არა გლახაკს, დიდსა ბრძენსა,
ჭკუის დამჭერსა, შემძენსა!

პ ი რ ვ ე ლ ი გ უ ნ დ ი

მენახა!

მ ე ო რ ე გ უ ნ დ ი

არ მენახა!

პ ი რ ვ ე ლ ი გ უ ნ დ ი

ნამუსს უნდა შენახვა!

მ ე ო რ ე გ უ ნ დ ი

ბატონს რომ უკადრებია.

პ ი რ ვ ე ლ ი გ უ ნ დ ი

ჩვენ მაინც არ გვენახა!

პ ი რ ვ ე ლ ი და მ ე ო რ ე გ უ ნ დ ი

მენახა, არ მენახა
ნამუსს უნდა შენახვა,
ბატონს რომ უკადრებია
ჩვენ მაინც არ გვენახა!

ნელ-ნელა შემოდიან.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ეჰე, მეფე.

მ უ ს უ ს ე ლ ა

გავილალოთ.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

შორს გავჩერდეთ, ვუთვალთვალოთ! (მუსუსელა და ქოსატყუილა შედიან ბოსელში.)

მ ე ფ ე (შემოდის)

აქ არის ბრძენი, სახელგანთქმული?

რ ო ს ტ ო მ ი

ვინ ხარ?

მ ხ ლ ე ბ ე ლ ი

მეფეა!

გ უ ნ დ ი

ჰეო, მეო, ჰეო, მეო.
მეფე როსტომთან ასტუმრა
ერის ურვამ, ხალხის ხმამა,
შავმა ჭირმა და ნაბადმა,
ჯავრის კარმა ჭირის გზამა.

რ ო ს ტ ო მ ი (მეფეს)

ისთვის მობრძანდი?

მ ე ფ ე

ჩვენს დიდებულებს მოჰყავთ თათრები.
მათ მეთაურობს გადახვეწილი
ჩემი ურჩი ძმა სვიმონ ცბიერი.
ქვეყანას სძრავენ, აწიოკებენ.
ჯერეთ ტფილისი დასწვეს, დაამხეს,
ჩემს სატახტოზე დასვეს სვიმონი,
აწ ბახტრიონის ციხეც წამართვეს,
თავშესაფარად დამრჩა ქედები.

ლ ყაი მორიდებით გამოხედავენ: ქოსატყუილა, მუსუსელა და გულჭანა, ქოს... ...ლ ყური მიპყრობილი აქვს მეფისაკენ, მუსუსელა გულჭანას ეტმასნება

მ ე ფ ე

იმ ძმას ძველად ბუში ჰყავდა
ვინმესაგან ერთი ქალი,
თვით გაიქცა სამშობლოდან
დარჩა ჩვილი ნაბუშარი...
მივაბარე გლეხს და მოკვდა, —
ამით გაქრა მისი კვალი...
დღეს სვიმონი მითვლის კრული,
ის ასული მომგვარეო,

თორემ მოვალ, ეუჟს გაგრევო.
რა მივართვა, სიკვდილს ამბად
არ იჯერებს, არც მეშვება.
მოვა მთებში, მეც შემიპყრობს
ხალხსაც ცელად მოეკება.
სპაც გამექცა, ვეზირებიც...
როსტომ, რჩევა შენ გედება...

ر ო ს ტ ო მ ი

საქმენი კარგად არა გქონია...

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (გულქანას ცივერად)

რისთვის არ გახსოვს შენი დედ-მამა?

გ უ ლ ქ ა ნ ა

აკი გითხარი, ვიზრდებოდი მე უპატრონოდ.

ქოსატყუილა მიშოოდება გულქანას. მუსუსელმ დააპირა გულქანასთვის პირბადე (ჩამოეხსნა. გულქანამ კარი მიუხურა და ბოსელში შევიდა. ქოსატყუილა თვალცრემლიანი ჯდება მეფესა და როსტომს შორის.)

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (თავში ხელს იცემს)

უბედური ვარ!

მ ე ფ ე

ეს რად ტირის?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

როსტომ, ჩვენმა მეფემ ქველმა
ერთ გლეხს ბავშვი მიაბარა,
გაჩნდა ჭირი, მოკვდა გლეხი,
ავიყვანე და მარჩიელს მივაბარე...
ბოლოს ბედმა ამატრუა,
გადვიხვეწე უცხოეთში.
გავხდი დიდი სოვდაგარი,
ასი გემი საჭურველით
დავტვირთე და წამოვედი,
გაჩნდა ქარი, შთანთქა გემნი,
ძლივს ნაპირზე გამოვედი...
აქ მოვედი და დამეცა მეხზედ მეხი უბედურ თავს,
იგი კეკლუც ბანოვანი გაჰყოლია ნაცრის მქექავს!

მ ე ფ ე

როსტომ, ეს კაცი ღვთისგან იქნება! (ქოსატყუილას.) სად არის ქალი?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ნაცარში გდია...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ხ ლ ე ბ ე ლ ი (შემოდის)

ურმები დგანან, დიდო ბატონო!

მ ე ფ ე

ძმის წული ვპოვე, ჩქარა ფარეშებს
გამოატანეთ შესამოსელი.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

სიმართლის ბოლო ასე კარგია!

შემოდის ფარეში ხელში ტანისამოსით.

მ ე ფ ე (მიუთითებს ბოსელისაკენ)

იქა ბრძანდება!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

მე გაგიძღვებით!

(ქოსატყუილა და ფარეშები შედიან ბოსელში. შემოდის ნაცარქექია, თან უკან-უკან იხედება, მოსდევს დიდი მუგუზალით დოყლაპია. დოყლაპია მუგუზალს დაადებს კერიაზე. ნაცარქექია მიიხედ-მოიხედავს, ეუცხოება მეფე მხლებლებით.)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა (როსტომს)

როსტომ, ესენი ვისთან მოსულან?

ر ო ს ტ ო მ ი

გულქანასთან!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

არ წათრეულა ის დედაკაცი?

ر ო ს ტ ო მ ი

წაიყვანებენ!

დ ო ყ ლ ა პ ი ა (საცეხველზე ნაცარქექიას)

შიგ სამი თავი ბოლოკია, სამ კაცს გვეყოფა?

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ლოდი გასწიე, თორემ ახლავე შუბლში დაგახლი!

მ ე ფ ე

რა გმირებია!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

როსტომ, სად მიჰყავთ ის გომბიო?

ბატონიშვილთან.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

რა შავ ქვად უნდათ?

რ ო ს ტ ო მ ი

შვილად.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ვინ?

(ბოსელიდან გამოდის გულქანა მეფის ასულის სამოსელში. ფარეში სარკით ხელში კიდევ უსწორებს წამწამებს; ქოსატყუილა გაბრწყინებული ახალი მოჰყვება. გულქანა გამშვენიერებულია. ნაცარქექია გაკვირვებული უცქერის.)

მ ე ფ ე

სახით კარგია.

მ უ ს უ ს ე ლ ა

რა მშვენიერი!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

სად მიხვალ, ღვთის გაჩენილო?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

თავის ისანში, ბატონიშვილთან!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ველარ დაგთმობ!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

აქ მეფეა!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

წაიღონ ეს ფარჩაფურჩი,
მარგალიტი, ლალი მძივი,
და დარჩი ჩემთან,
ძვირო გულქანა.

გ უ ლ ქ ა ნ ა

შენთან? შენ რა გაქვს ჩემი საკადრი?

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

გული, შე ქალო, გულს არ აფასებ?!.

მ ე ფ ე (ნაცარქექიას)

ჩამოეცალე!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

გულქანა, ჭრელო ხოხობო...
რა საქმე ქნეს, ამ ჩემს ქათამს,
ფრთა შეასხეს, გააფრინეს,
არ მიხედეს ჩემს მამლობას,
საუკუნოდ შემარცხვინეს...

ხ ა ლ ხ ი (მოთქვამს)

ვაი, ჰე, ვაი.
ვაი, ჰე, ვაი,
ვაი, ჰე, ვაი.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ცოცხალ ცოლზე დაქვრივებულს
მომჩუხჩუხებს ცრემლის წყარო,
მეკარგება ანგელოზი
ვერასოდეს გავიხარო.
ასეთი ტანჯვა ამქვეყნად
მგონი არავის ჰქონია,
ვაქკაცსა თავის სიკვდილი,
თავი მძინარე მგონია.

ხ ა ლ ხ ი

ვაი, ჰე, ვაი,
ვაი, ჰე, ვაი, ჰე.

მ უ ს უ ს ე ლ ა

სად ყოფილა დამალული
სილამაზის სახე სრული
ამის ფეხის ნაკვალევზე
დაილევა ჩემი სული.
ეს ხელიდან ვერ წამივა...

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

მაშორებენ, ჩემს ანგელოზს,
მე კი ისე მექცევიან,
ცოცხლად მდებენ სამარეში...

მ ე ფ ე

ჟეკლუც ბანოვანის პოვნამ
სასოება მომახვია.

ქ ა ლ თ ა გ უ ნ დ ი

მოდის კეკლუც ბანოვანი,
ალვის ტანი, პირი მზისა...

რ ო ს ტ ო მ ი

გულქანასგან ნურვის უკვირს,
ქალი ყველა ასეთია,
სულ ნაცარტუტაში ჯდომას
ფარჩის კაბა ურჩევნია.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

სოფელო, მიეთმოეთო,
საბრუნავისა მახეო,
მეც კი მაკვირვებს ხანდახან
შენი ცვალებად სახეო.

გ უ ლ ქ ა ნ ა

ბედმა გამომხსნა უღლიდან,
სხვა გზა დამიდვა შარადა,
დამრჩება ნაცრის მქექავი
თავის ფიქრების ცალადა.
მოსულა ხალხი სეირად,
მკაზმავენ უცხო მხარესა,
ჩემგან ნარეკი ნაცარი
სახეში მიაყარესა.
ვარ სირმა ხასი ბრწყინვალე,
გულქანის პირი მცინარე!

მ ე ფ ე დ ა გ უ ნ დ ი

ეს არის რასაც ვეძებდი,
იხილა თვალმა ღიამა,
ერთად შემცინა სახიდან
ბროლმა, ლალმა და იამა.

(მივმატება გულქანა, მუსუსელა, ქოსატყუილა.)

რაც მიპოვნია მოუვლი,
შევკრავ ნარგიზის წნელითა,
ეკუთვნის ვისაც მივართმევ
სიყვარულისა ხელითა.

გ უ ნ დ ი

დაჯდეს პირიმზე საჯდომზე
და ჰქონდეს დილა საღამოთ
სიყვარული და ალერსი,
დამწვარი გულის მალამოთ!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ასეთი ტანჯვა ამქვეყნად
მგონი არავის ჰქონია,
ვაქკაცსა თავის სიკვდილი
თავი მძინარე ჰგონია!

(ქალთა გუნდი, გულქანა, მუსუსელა და ქოსატყუილა მიდიან. ქოსატყუილას მიჰყავს გულქანა.)

ბარემ, მეფეო, თავი მომჭერი!

მ ე ფ ე

ის ბახტრიონის კოშკში წავიდა!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ბახტრიონი ხომ მტრებმა აიღეს.

მ ე ფ ე

ჩემი ძმაც ქვეყნის მოღალატეა.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

მერე გულქანა რად გაუგზავნე?

მ ე ფ ე

მე უძლური ვარ!..

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

მეფე — უძლური?!
ეჰე, მე რომ მეფე ვიყო,
ცხენს შევკაზმავ თამაშასა,
ზედ იარაღს შემოვიდებ
ქარქაშიან კაშკაშასა.
მტერს ისეთი დღეს დავაყენებ,
ვაგლეჯინებ წვერს და თმასა,
აქეთ გორას წიხლს მივარტყამ,
იქით გორას უზამ ძვრასა.

ერთს ვჭეჭავ ჩემს სამეფოში,
ისეთი ძმებათ შევყრი ყველას,
თხა და მგელი ერთად სძოვდეს,
არ უფრთხოდეს ჩიტი მელას.

როსტომი (თავისთვის)

სიმწარისაგან ჩიტი ძაღლს უკბენს...

მეფე

რა თამამია, რას მიბედავს. (ნაცარქექიას.).
ჩემი ძალა სულ ასი კაცია,
და იმათთვისაც სარდალი არ მყავს.
ხვრელს გასწავლი საიდუმლოს,
ჩუმად, მალვით მისავალსა,
თუ აიღებ, ივაჟკაცებ,
დაიბრუნებ პირმზე ქალსა.

ნაცარქექია

კი შევასკდები!

მეფე, როსტომი, გუნდი

ციხის ამღები ვაჟკაცი
სიკვდილს არ უნდა უფრთხოდეს,
მაინც წინ იყოს მავალი
მაინც მის ხმალსა შიოდეს!

ნაცარქექია

რა საქმე მიყო გულქანამ,
მოისხა პირი მზისაო,
ისეთი დამატრიალა
როგორც ბორბალი წყლისაო.

მეფე, როსტომი, ვაჟთა გუნდი

ალალის შიშით ნუ მიდის
ტოროლა დღეობასაო,
მიდის და ვეღარ ჩამოვა
იქ იტყვის გალობასაო.

მეფე (ნაცარქექიას)

უწინამძღვრე, მაშ, ამ სპასა!

(შეკრის ჯარი, მეფე გადასცემს ნაცარქექიას ჯარს და იგი წინ გაუძღვება.)

მოქმედება მეორე

ბახტრიონის ციხეზე სვიმონ ხანის სასახლეში შესასვლელი კიბე. ვრთი მხრიდან მაღლა მოჩანს სასახლის თუ ციხის ვიწრო ფანჯარა. ფანჯრის პირდაპირ, დაბლა მუსუ-ლია აქ ზულა და ფაღონებით იცქირება მაღლა.

მუსუსელა

თეთრ კირით შეერთებულო,
ქვაო ნაგებო ქვაზედა,
ნეტავი დაინგრეოდე
დამეცემოდე თავზედა.

ქოსატყუილამ ტიალმა
სულ ამიბნია კვალია,
მომატყუილა, სხვა გზაზე
წამოიყვანა ქალია.

ციხე ბახტრიონს დამარხა
ის ჩემი სული, გულია,
საფლავში იწვეს, ვნახავდი
აქ უფრო დაკარგულია.

გულქანა, ჭრელო ხოხობო,
მაღლა ვარსკვლავის რიდეო,
ჩემო უდაბნოს მცენარევ,
ჩემო უფსკრულის ხიდეო.

ცრემლით ავზილე ტალახი
და გული ისე კვდებაო.
ჯეირნის მწვადიც დამიდვან
სულ ყელზე დამადგებაო.

ფანჯრიდან გაძოძინეულის ფატი.

ფ ა ტ ი

ფანჯრის ქვემოთ ვინ წუწუნებს?

მ უ ს უ ს ე ლ ა (გაკვირვებულია უცნობის დანახვით)

ფანჯრის ბროლთან ვინ ჟუჟუნებს?

ფ ა ტ ი

ვისზე სტირი,
გული რისთვის გააწყალე?

მ უ ს უ ს ე ლ ა

შენზე!

ფ ა ტ ი

ჩემზე?

მ უ ს უ ს ე ლ ა

ღრუბლად ვდნები!

ფ ა ტ ი

შენ გულქანას ახსენებდი,
არა, მე ხომ ფატი მქვია.

მ უ ს უ ს ე ლ ა

რაც მომადგა ის დაგარქვი,
როცა ცეცხლმა გადამრია.

ფ ა ტ ი

ვაუ, ჭკუა რამ წაგართვა,
დარაჯები შეგეყრება.
შენ მაგიერ მე ვკანკალებ,
შიშით მუხლი მეკვეთება.

მ უ ს უ ს ე ლ ა

შენი ქება და გალობა
აღარ ძალმიძს მოვიშალო,
შენი საწოლი მასწავლე
ია და ვარდი გავშალო...
მედება შენი სურვილი,
როგორაც ცეცხლი წალამსა,
ან დამწვი, დამაქვესკნელე,
მომწყვიტე სოფლის სალამსა,
ან გადმომიგდე ბაწარი
ხერხიან დროს და ალაგსა.

ფ ა ტ ი

ხელმანდილსა გადმოგიგდებ, ბოლოჭრელსა მოქარგულსა,
შიგ გავახვევ ბარათს შენთვის,
წაიკითხავ მოგედება, გულს სურვილი,
ცეცხლი პირსა.

(გამოჩნდება ქოსატყუილა და გულქანა.)

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

მოვდივარ მომიხარია,
მომყავს ქვეყნისა თვალია.

მ უ ს უ ს ე ლ ა (ფატისაკენ)

რომ არ აიღონ ეჭვი ჩვენზედა.

(უჩვენებს გულქანაზე.)

სიტყვით მას, გულით კი შენ გიმღერებ.

მ უ ს უ ს ე ლ ა (მოშორდება ფაჯარას და გადაეღობება გულქანას)

შენმა ძებნამ გამათავა,
სისხლი ოფლად დამადინა,
ვერც დავდექი, ვერც დავჯექი,
ვერცა ძილმა დამაძინა.

გ უ ლ ქ ა ნ ა

რა წელკავი შეგეყარა,
რას დამეძებ, დამსდევ გზირად,
თუკი ჩემი გახსენება
მთელ სიცოცხლეს გიქცევს ჭირად.

მ უ ს უ ს ე ლ ა

ბულბულისთვისაც ჭირია
გამოსვლა გაზაფხულისა,
მეგაღე კარზე დადგება,
მეგაღე ავი გულისა,
ქვას ესვრის გალავანიდან
ბაღში გალობას უშლისა,
ფრთოსანი განზე მიფრინავს,
ჭირზედაც ჭირი უვლისა.
რა ბულბულის ბრალი არის
გამოსვლა გაზაფხულისა.
შენაც ხარ ბაღი, წალკოტი,

გასხია ლალი, ბადახში,
ყველაზე ტკბილი ხილია
ამ ქვეყანაზე შენს ბაღში...
თავისი თავის მებაღედ
დამდგარხარ ხელში ფარითა,
ვერ მოგიდექი ხმალ-ხანჯლით,
ვერც სიმღერით და ქნარითა.

გ ულ ქ ა ნ ა

მე თუ მებაღე ვყოფილვარ,
მეც გეტყვი სადარეჯლათა:
შენს ენას შემოვღობავდი
სახნავად საბარელადა.
ძირფესვიანად მოვთხრიდი
მაგ ჭრელაჭრელა ტყვილებსა,
დავთესდი სიტყვა პასუხებს,
ნამუსით მოკვეთილებსა.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (მუსუსელას.)

შენ, ბიჭო, დაეხსნებოდე
ქალების უკან დევნასა,
ჭინჭარში გდება გერჩიოს
იმათი ენის კბენასა.

ფატ- გადმოაგდებს ფანჯრიდან ბარათს, ბარათი დაეცემა მუსუსელასთან.

მ უ ს უ ს ე ლ ა (აიღებს ბარათს და ხელში ჭიჭყინტს.)

ეს აქ ქარმა მოიტანა...

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

დავინახე რაც ქარია.

გ უ ლ ქ ა ნ ა

დავინახე ქარი იყო,
მაგრამ ქალის ბადალია!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ხომ ხედავ აღარ გაგიდის,
გათავდა შენი ქრიალი!

გ უ ლ ქ ა ნ ა

ხეს გავთლი შენისთანასა
ისე ხარ სინდის გამქრალი.

მ უ ს უ ს ე ლ ა

გამტეხა ბედმა უპირომ,
უკუღმა იწყო ტრიალი.

ფ ა ტ ი

ბარათი კრძალვით აიღო,
ედება გულზე ტრფიალი.

გულქანა აიწევს მაღლა კიბეზე.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (მუსუსელას)

შენ მახეს უგებ ხოხობს, რომელიც
მე უკვე დამიჭერია.
მე რად არ მეტყვი, თუ შველა გინდა.

მ უ ს უ ს ე ლ ა

რომ გთხოვო, განა დამეხმარები?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

გიშველი ბარათს თუ წამაკითხებ!

(მუსუსელა და ქოსატყუილა კითხულობენ ერთად ბარათს.)

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

გატყობ წოდებით ხარ დიდებული,
ისრის მხვეტელი, რკინის მკვნეტელი,
მე ლამით ბაწარს ჩამოვაცოცებ,
ზე აგაცოცებ, ზე აგაცოცებ.

მ უ ს უ ს ე ლ ა

რომელს ვეტრფოდე და გავეკიდო
ორივ სამოთხის ტურფა სახეა!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

მე გირჩევ იმას გამოეკიდო,
ვისთანაც მეტი განძი მარხია.

მ უ ს უ ს ე ლ ა

გულქანას რა აქვს?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ტლინკი!

მ უ ს უ ს ე ლ ა

მაშ, ფატის?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

თუ გეტრფის, სვიმონ ხანს ბეჭედს მოპარავს,
ზედა ქათქათებს შვიდი თვალია,
მხოლოდ ამ ჭკუის სწავლებისათვის
შენგან მერგება ერთი ცალია!

მ უ ს უ ს ე ლ ა

შენ თუ მოგეცი, მე რაღა დამრჩეს?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

იმის მაგიერ გულქანა გყავდეს!..

მ უ ს უ ს ე ლ ა

კარგი, ნუ მიგყავს ის სასახლეში!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

არა, მე წყალში თევზს არ ვყიდულობ.

(ქოსატყუილა მიდის გულქანასთან ერთად. შემოდიან კარისკაცები.)

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

მოვდივარ მომიხარია
მომყავს ქვეყნისა თვალია.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი

მოხვედი, მოსვლა გვიამა,
დანახვა შენი პირისა.

(ადიან ზემოთ ციხის კიბეზე.)

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

სვიმონ ხანის დარბაზი, სცენაზეა სახლთუხუცესი, მარცხნიდან შემოდიან მეფის ოფიციალტე დიდებულები.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი

გამოიღვიძა სვიმონმა,
დავბანეთ ვარდის წყალითა.

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი

მობრძანდეს ჩვენი მეუფე,
გვაბედნიეროს ნახვითა.

(ფარეშებს შემოჰყავთ ტახტზე ფეხმორთხმით მჯდარი სვიმონ ხანი.

ფ ა რ ე შ ე ბ ი

ააბიბინა ქვეყანა
სვიმონის თვალმა ღიამა.

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი

მადლობელი ვართ, მფლობელო,
გვაბედნიერე ნახვითა.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

დიდი პატივით დაგასაჩუქრებ,
მეფის დამთმობო, ხევის ბატონო,
გეძლევა საჭურ-საგრილობელი
იგი ჩემს თავზე უნდა გაშალო,
სამოსი ჩემი ათაბაგს მივეც,
და ბაშმაყები მაღალ ერისთავს,
დაახლოების პატივის ნიშნად,
ორივე თავის ხელით შემმოსავს...
მე აქ მონღოლთა ლაშქრით მოვსულვარ

და გიპატრონებთ მათი წესითა,
ძმას კი სამეფოს სულ ჩამოვართმევ
და ამოვაგდებ თავის თესლითა.

ხევის ბატონი აიღებს საგრილობელს, მოსასხამს ხელში დაიჭერს ათაბაგი, ეკბაცმელს — ერისთავი.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი

მეკარეთ იქ დგას გვანგვა ბატონი,
თქვენი ასულის მოსვლას აცხადებს.

ეარიაკაცებს შემოჰყავთ გულქანა და მბლებელი ქოსატყუილა.

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი

წარბი წურბლად აუყრია,
გიშრის სარად წამწამიო,
საბერძნეთის ხატი არის,
ინდოეთის წამალიო.

ხ ე ვ ი ს ბ ა ტ ო ნ ი

ვისია ცაში ნაბანი,
ვარსკვლავი დილის პირისა.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

ჩემია ტურფა ნაყოფი
ადრინდელ სიყვარულისა,
მომგონებელი წარსულის,
სიყვარულის და ჭირისა...
მას აქეთ გადამივლია
მრავალი ხიდი ბევწვისა,
სადაც ეს დამითესია
იმ ბაღზე გული მეწვისა...
ტკბილია ბაღი ახალი,
პირველი ხილის გამოსვლა,
ახალგაზრდობის სურნელი,
ახალი ლერწის გამოსხმა.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (გულქანას)

ხომ ხედავ სად მოგიყვანე,
ობლის კვერი გამოცხვა!

მ თ ა ვ ა რ ი გ ვ ა ნ გ ვ ა, მ თ ა ვ ა რ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე (ერთად)

მოგვილოცნია, მოგსვლია
მანათობელი მზეთამზე!

გ უ ნ დ ი

მიწაზე დაგითესია,
მოგიკრეფია ზეცაზე!

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

იმ მთავარს ვეცი პატივი,
ჩემი ხმლის მტარებელია,
ხმალის ქარქაშის დამჭერი
მეორე დიდებულია.

ერთ დიდებულს ხმალს ჩააბარებენ და მეორეს — ხმლის ქარქაშს.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (გულქანას)

რას იშმუშნები, რამე გწყენია?

გ უ ლ ქ ა ნ ა

თავიც მიბრუა სიხარულითა,
მაგრამ ამდენი ქების მრცხვენია.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი (გულქანას)

ახულო, შენ აქ ვინ გყავდა
ნაცვლად მამის და მკვდარი დედისა?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ძვ.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

ბიძა? მეფე?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

მიაგდო ბავშვი,

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

პირს ვინა გბანდა ვარდის წყალითა,
ვინ გიმღეროდა ოქროს ქნარითა?

გ უ ლ ქ ა ნ ა

რა მაღირსებდა ქნარს და სასახლეს,
მე აქ სიზმარში თავი მგონია.
შენი დანახვა ისე მახარებს,
ლამის მეშლება ჭკუა-გონია,
მხოლოდ, მამილო, თბილად არ მხვდები

ალარც იცინი, ალარც მეხვევი...
მოდი, მაკოცე, შე დალოცვილო...
ავი დარდები რად მოგწოლია?
ამ დიდებულებს
ასე სასტიკად რად უჯავრდები?
იმაზე მეტი რა დაგიშავეს,
რომ მე სვინდისზე მეტად შემაქეს?

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

მე დაშავებას ვინ გამიბედავს!

გ უ ლ ქ ა ნ ა

მაშ, ცოდვილივით რად მოკაკულან?

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

აქ არის შემოკრებილნი
მთელი სამეფოს მთავარნი,
საკუთარ ტყავის შიშითა
სწორე ჭკუაზე დამდგარნი!

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი

ჩვენ ჩვენი ტყავის ერთგულნი
როგორ არ ვიქნებოდითო,
ტყავი ხორცზეა დაკრული,
გულთამხილავის ნებითო...

ხ ე ვ ი ს ბ ა ტ ო ნ ი

საკუთარ ხელით მოგიყვან
ქალ-ვაჟს ლამაზებს თვალადა.

ე რ ი ს თ ა ვ ი

კაცებს უღელში შევაბამ
გავაწევინებ ხარადა.

მ თ ა ვ ა რ ი გ ვ ა ნ გ ვ ა

ჯეირანების ჯოგს მოგგვრი,
შენს ლაშქარს ვაჭმევ ჯერადა.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი

იმდენს მოგართმევ ხარაჯას,
იხარო გულიანადა.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

მონღოლთა ლაშქარს გაგატანთ
მოკრიფეთ ხარკი ძალათა.
დამხობილ მეფის ერთგულნი
ისრის სამიზნოდ იხმარეთ,
ურჩების დასაშინებლად
მოკლულთა გვამზე იხარეთ!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ხალხი სულ ჩემზე ამბობდა,
ეშმაკის კვალზე ბუქნავსო,
აქ კი ხომ ხედავ, რა ხდება...

გ უ ლ ქ ა ნ ა, ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (ერთად)

ასეთი უბედურება,
მგელის სოროშიც ნუ ქნასო.

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი

გაქცეულ მეფის შეფარებისთვის
ტაბაკში ქვაზე ქვა არ დავტოვოთ!

გ უ ლ ქ ა ნ ა

ეჰ, ჩემს სოფელზე რასა ჩხავიან?

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი

პირველად ცეცხლით, მახვილით მოვსპობთ
სოფელ ტაბაკის მოხუცს და ყმასა.

გ უ ლ ქ ა ნ ა

შენ, მამაჩემო, გლახა ზარს რეკავ!..

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (გულქანას)

გაჩუმდი, თორემ გაგვირისხდება...

გ უ ლ ქ ა ნ ა (აღშფოთებული)

რა დამაჩუმებს, ცეცხლში ურთავენ
ყველას, ვინც ჩემთვის გულსაწვავია,
დიდებულებო, გულს ეკალივით
მესობა თქვენი სიტყვა ავია!
თავ-თავის კუთხეს ემტერებიან
გულს შხამი უდგათ ჩაფიანები,
საკუთარ ყმათა დასაღუპავად
დაულესია ყველას კბილები.

რა დამაჩუმებს ეშმაკის კერძნო,
ჩემს სოფელს ელის ბედი შავია,
მუსრის გავლებით ემუქრებიან
ყველას, ვინც ჩემთვის გულსაწვავია.
დიდებულებო, გულს ეკალივით
მესობა თქვენი სიტყვა ავია...

სვიმონ ხანი (გულქანას)

რისთვის გაშმაგდი?
რბევა მდაბიო ხალხზე იქნება...

გულქანა

მდაბიოს განა ძვალი და რბილი
არ ეტკინება?
მეც მოვხრაკულვარ იმათ ტაფაში!

სვიმონ ხანი

სად?

გულქანა

ვიზრდებოდი გლეხურად ქოხში...

სვიმონ ხანი (ქოსატყუილას)

მხლებელო, შენ ეს საიდან მოგყავს?

ქოსატყუილა

არ ვიცი, მეფემ გამომატანა...

სვიმონ ხანი

აკი ასე თქვი, მე გავზარდეო?

(ქოსატყუილაზე [illegible] დარაჯებს.)

ეს მხლებელი შემიკარით,
ბახტრიონის კოშკში ჩასვით,
გულქანას კი ნამგზავრზედა
ბადაგი და თაფლი ასვით!
დილას ორთავს წარმომიდგენთ,
გაუმწესებ სამართალსა...
შვილს გამოვცდი, და მის გამზრდელს
მოვთხოვ ვალსა!

დარაჯები მიუახლოვდებიან ქოსატყუილას გასათოკავად.

დიდებულების გუნდი

სამართალი ქენ, მაღალო, ბრალი თავს დაეხუროსო!

ქოსატყუილა

წმიდა გიორგი, მიშველე ეშმაკმა არ მიხუმროსო,
ჯოჯოხეთში არ ჩამაგდოს კარი გამომიხუროსო...

გულქანა

ისეთი ავი რა ვქენი, ბატონი დამემდუროსო?!

დიდებულების გუნდი

სამართალი ქენ, ბატონო,
ბრალი თავს დაეხუროსო!

გულქანა

ისეთი ავი რა ვქენი, ბატონი დამემდუროსო?!

ქოსატყუილა

წმიდა გიორგი, მიშველე ეშმაკმა არ მიხუმროსო.

მიდიან ყველანი გარდა სვიმონ ხანისა. გულქანა მიჰყავს სახლთუხუცესს. ქოსატყუილას დარაჯები გათოკავენ. სვიმონ ხანი დაღვრემილია, საჭურისები კუთხეში დაიჩოქებენ, შემოდიან ჰარამ ხანის ქალები და მოცეკვავენი.

ქალთა გუნდი

დაამთქნარა სვიმონ ხანმა, ძილი ინებაო,
სიზმარი მოეჩვენება ტკბილი იქნებაო,
ერთი ვარსკვლავი ამოვა, ცა გაწითლდებაო,
მაღლიდან დაბლა ჩამოვა, ზღვაში ჩაწვებაო,
იქ ქალის ხმით დაიმღერებს, ზღვა აყვავდებაო,
თეთრი ნავით სვიმონ ხანი გამოუდგებაო,
ვერც დაიჭერს, არც გაუშვებს, არც მოშორდებაო,
თვალზე ცრემლი მოადგება გაეღვიძებაო.
ასი ცოლი ფეხს დადგება, ასი დაჯდებაო,
ასი ლოგინს გადაუშლის, ერთი დაწვებაო.

სვიმონ ხანს ჩაეძინება. ყველანი მიდიან გარდა ფატისა, საჭურისი გადარაზავს კარს და მიდის.

ფატი (აქეთ-იქით იხედება, ათვალიერებს დარბაზს. ფატი პარავს ბეჭედს სვიმონ ხანს. ბნელდება, მთვარე ამოდის. ფატი მიდის ფანჯარასთან)

ახალ შობილსა სიყვარულს
მთვარე დაურწევს აკვანსო,
თუ შენ არ მოხვალ ჩემთანა
მე შენთან რა მომიყვანსო.

მ უ ს უ ს ე ლ ა (ამოძვრება ფანჯარაზე)
ჩავარდა გულში ტრფიალი
პატარა ნაპერწკალადა,
დიდი ალმური დაანთო,
სული ამომდის ცხელადა.
ფ ა ტ ი
გაგიღე კარი წალკოტის
შვებით და ტრფიალებითა,
აქ დაგახვედრე ბეჭედიც
პატიოსანი თვლებითა...
მ უ ს უ ს ე ლ ა
ეს არის რასაც ვეძებდი,
ნეტარებაც და მადლიცა.
ფ ა ტ ი
ჩავარდა გულში ტრფიალი
ცეცხლისა მოსანთებადა,
მ უ ს უ ს ე ლ ა
სანამდე ფერფლად გვაქცევდეს,
გავიქცეთ მოსაქრობათა.
ფ ა ტ ი დ ა მ უ ს უ ს ე ლ ა
მოვნახოთ ბაღის კუნჭული
იყოს ხილი და ვარდები.
მ უ ს უ ს ე ლ ა
წითელო ვაშლო, შენ გესვრი.
ფ ა ტ ი
თეთრო, შენ ჩამოვარდები,
წითელ ვაშლსაც და თეთრ ვაშლსაც...
მ უ ს უ ს ე ლ ა
ორთავ შენ დაგაკრეფინებ,
ფ ა ტ ი დ ა მ უ ს უ ს ე ლ ა
სიკვდილის დღემდე გიმღერებ,
გულხელს შენ დაგაკრეფინებ.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე

ციხე პახტრიონის შიგნით, კედლებს შორის პატარა ფართობი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩანს კოშკები, რომლებშიაც ჯარი დგას. წინ სასახლეში გასასვლელი კარი. ზევრდზე გარედან შემოსასვლელი კარი. კედლებში გვირაბები. ეზოში ბოძზე მიკრულია ქოსატყუილა. გვერდზე შემოსასვლელ კართან დგას ორი დარაჯი.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა
ბედო, რა მიყავ, ტიალო,
ცხოვრება სად მიბინდდება,
ციხეს ვზი ეგზომ მაღალსა,
ყვავიც ვერ გადაფრინდება...
გათავდა ჩემი ქრიალი,
ვერ გავშლი ფაფარ ძუასა,
ვერ გავერევი მართალ ხალხს,
ველარ მოვიყვან ჭკუასა...

გვირაბიდან ამოძვრება მუსუსელა. ბეჭედს დაანახებს დარაჯებს, დარაჯები მოწიწებით აძლევენ ხალამს და მიდიან. მუსუსელას შემოყვებიან დოყლაპია და ნაცარქექია ლაშქრით.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა
ხედავთ ჩემს მტერსა ქოსატყუილას?!
ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა
დიდ წმინდანივით მიმაკრეს ბოძსა.
მ უ ს უ ს ე ლ ა
მართლაც გაუკრავთ!
ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა
რისთვის დაგსაჯეს?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ჩემს ნაქნარს ცოდვას დღეს გული გმობსა...

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

სად არის ჩემი ცოლი გულქანა?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

კოშკში!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა (ლაშქარს)

დაურთეთ მის დარაჯებსა.

(ნაცარქექიას ლაშქარი გადაისვრის ისრებს მარცხნივ კოშკებზე, მარცხნიდან პასუხად მოისმის განგაში, ღრიანცელი, იარაღის ჟღარუნი და საყვირის ხმა. ნაცარქექია და მისი ლაშქარი შეშინებულნი მიაწყდებიან მარჯვნივ.)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

რადგან აქედან შემოგვიტიეს,

სტყორცნეთ, ბიჭებო, იქით მხარესა!

ლაშქარი ისვრის ისრებს მარჯვნივ კოშკებზე, იქიდანაც პასუხად მოისმის განგაში. იარაღის ჟღარუნი და საყვირთა ხმა.

ლ ა შ ქ ა რ ი (შეშინებული)

მაშ, გავიპაროთ!

(ნაცარქექია, მუსუსელა და მთელი ლაშქარი მიძვრება გვირაბებში. სასახლის კარიდან გამოდის სვიმონ ხანი ამალით.)

კ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი ს გ უ ნ დ ი

სვიმონ ხანი გამობრძანდა
სამართლის საქნელადა,
ქოსატყუილა მოიწვია
თავის ცოდვის სათქმელადა;
ქვეშ დაუგოთ მეფეთ მეფეს
მორჩილების ალამიო,
ისეთ სასჯელს მოიგონებს,
ველარ ასწერს კალამიო.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (დაჩოქილი)

დამნაშავე ვარ მე სულ პატარა.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

მაშ, შენზე მეტი ვინ დააშავა?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ვინც შენ ბეჭედი ღამით მოგპარა!

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი (დაიხედავს ხელზე, აღშფოთებით)

კარის კაცნო, ეს რა არის?

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ღალატი!

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი

რაო, ღალატი?! საიდან იცი?!

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ბრძენი ვარ, მოველ შენდა მხსნელადა!

მარცხენა კოშკიდან გადმოცვივა ისრები სვიმონ ხანის ამალაზე.

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი

ღალატი. მართლაც აქ ღალატია!

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი (დარაჯებს)

ახსენით ბრძენი!
ჩქარა ახსენით!

ქოსატყუილას შეხსნიან თოკს. კარს მოადგება მარცხენა კოშკის მეთაური ლაშქრით.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ლაშქრის უფროსო, ისრები სტყორცნე მეფეთა მეფეს
და მის ამალას!

მ ე თ ა უ რ ი (შეშინებული)

აქ მტერი მეგულებოდა...

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (მეთაურს)

გაიქეც ჩქარა შენი ლაშქარით,
თორემ თავს მოგჭრის გორდა ხმალითა!

მეთაური მთელი ლაშქრით მიდის ციხე-გალავნიდან. მარჯვენა კოშკიდან გადმოცვივა ისრები სვიმონ ხანის ამალაზე.

ყ ვ ე ლ ა ნ ი

ღალატი, მეფევ! მართლაც აქ ღალატია!

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი (ქოსატყუილას)

მიშველე, ბრძენო, ჩქარა მიშველე!

კარს მიადგება მარჯვენა კოშკის მეთაური ლაშქრით.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

ლაშქრის უფროსო, ვით ბედავ მოსრა
მეფეთ მეფე და მისი ამალა!

მ ე თ ა უ რ ი (შეშინებული)

აქ მტერი მეგულებოდა...

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (მეთაურს)

გაიქეც ჩქარა შენი ლაშქარით,
თორემ თავს მოგჭრის ხანი ხმალითა!

მეთაური მთელი ლაშქრით მიდის ციხე-გალავანიდან. კარს ჩაკეტავენ.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი (ქოსატყუილას)

ბრიენო, გმადლობ, რომ გადამარჩინე,
ორივ ცალ-ცალკე გამარეკინე...
კარისკაცებო, დაუხშეთ კარი,
არ ამოვიდეს უკან ლაშქარი,
მარტო მოვიდნენ მეთაურები,
მიგონ პასუხი მხარზე თავითა.

(სვიმონ ხანი მთელი ამალით მიდის. ქოსატყუილა მიდის გვირაბში. კარისკაცები დახურავენ ციხის კარს, გვირაბიდან მალვით ამოდის ნაცარქექია თავისი ჯარით.)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

გუნდო, გამოტყვრი ხვრელიდან,
ქორისა შევარდნისაო,
გასულა მტერი ციხიდან
ჩვენი ნასროლი სჭირსაო.

გ უ ნ დ ი (ნაცარქექიას ლაშქარი)

ამოამღერეთ ხმალები
ნალესი ზუმფარაზედა.
იარაღ სწორად იხმარეთ,
არ მიატეხოთ ფარზედა.
ვაჟკაცნი გყევართ ისეთნი,
ლოდს ამოვიდებთ გუდათა,
თითო-თითო ლომს ავიყვანთ
დავიჭერთ კატის კნუტათა.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

შეასკდით ციხე ბახტრიონს,
ამოიგლიჯეთ გულია,

არ შეუშინდეთ კედლებსა,
კბილით გეჭიროთ სულია!

გ უ ნ დ ი

წინამძღოლიც ხარ ისეთი,
მჭვრეტელი შორით შორსაო,
ერთი ახტომით დაიჭერ
ცაში გაფრენილ ქორსაო.

დოყლაპია და ლაშქარი მიადგებიან ცარიელ კოშკებს, ტყუილუბრალოდ ხმლებს იქნევენ, ქვებზეც ისრებს დაუშენენ და დიდი ივრიშით დაიპყრობენ ცარიელ ციხეს.

გ უ ნ დ ი

წინამძღოლიც ხარ ისეთი,
მჭვრეტელი შორით შორსაო,
ერთი ახტომით დაიჭერ,
ცაში გაფრენილ ქორსაო.
ვაჟკაცნი გყევართ ისეთნი,
ლოდს ამოვიდებთ გუდათა,
თითო-თითო ლომს ავიყვანთ,
დავიჭერთ კატის კნუტათა.

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა (ანიშნებს ნაცარქექიას ლაშქარზე და ლაშქარი დაიმალება)

შემოდის სვიმონ ხანი თავისი ამალით. კარისკაცებს შემოჰყავთ პირველი და მეორე ლაშქრის მეთაურები.

პ ი რ ვ ე ლ ი დ ა მ ე ო რ ე მ ე თ ა უ რ ი

დიდო სვიმონ ხან, ჩვენ არ გღალატობთ
რამე ღვთის რისხვამ აგვრია დღესა!

(ნაცარქექია უცბად გამოვა თავისი ლაშქრით.)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

სვიმონ ხან, ახლა მარტო სიტყვაა!
იცოდეთ თქვენთვის მე ვარ ღვთის რისხვა!
უბრძანეთ ჩქარა კარს იქით ჯარებს,
დაყარონ ახლავ რკინა და რვალი,
თორემ აქ თავებს დაგაყრევინებთ,
ჰე, დოყლაპიავ, უსწორო ხმალი!..

დოყლაპია სწევს თავის უზარმაზ ხმალს, სვიმონ ხანი, დიდებულები და მეთაურები დაიჩოქებენ, უბიდან ამოიღებენ ნიშნებს — ქაღალდებს.

ს ვ ი მ ო ნ ხ ა ნ ი დ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი

გბარდებით რადგან ეს მოხდა ზეცით,
ნიშანი ჩვენგან მათ გადაეცით!

დოყლაპია ბაწრით კრავს სვიმონ ხანს და მის ამალას. ქოსატყუილას და მუსუსელას შემოჰყავთ გულქანა და ფატი, მათ მოჰყვებიან ჰარამხანის ქალები.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა (გულქანას აღტაცებით)

სირმა ვერცხლის ტაბაკო,
გაჩენილო ბედათა,
კვესაბედით დამწველო,
სხმულო ოქროს სვეტადა.

გ უ ლ ქ ა ნ ა

ერთ ქალს ვერ მპატრონობდი,
მყავდი თავსატეხადა.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

შენ კი ერი მომეცი
მტრისგან დასაცველადა.

გ უ ლ ქ ა ნ ა

მერე ახლა, გეთაყვა,
ასაღებათ ციხისა
რა ძალა შეგეწია
და რა მადლი ნიჭისა!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ენა მებმის რა გითხრა,
გაჩენილო ბედათა,
მოდი შემომეხვიე
სულის კვესაბედათა.

გ უ ლ ქ ა ნ ა

ჯერ ბატონს წარუდექით
ღა უამბეთ ერთადა,
ციხე როგორ აიღეთ,
გმირობით თუ ბედათა.

მ ე ფ ე

ჯერ მოდით და მიამბეთ,
მომახსენეთ ერთადა.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა (მეფეს მუდარით)

მეფევ, ნუ გასტეხ შენსა სიტყვასა,
არ დავიჩემებ ჩემსა ამაგსა,
არ გთხოვთ ამისთვის დიდ საჩუქარსა,
ხოლო ნუ გამყრი ცოლსა პირმანგსა
რაც ჩემი იყო, ის დამიბრუნე!..

გ უ ლ ქ ა ნ ა (მეფეს)

ხანის განძი კი თან გამატანე!

მ ე ფ ე

ხანის განძს შენ რა უფლებით მკითხავ?!

გ უ ლ ქ ა ნ ა

მისგან დარბეულ ხალხს მოუკითხავ,
მამას ასული ცოდვას მოვრეცხავ.

მ ე ფ ე

შენ ასული ხარ სვიმონ ხანის? ვინ თქვა?

გ უ ლ ქ ა ნ ა

შენ ბრძანე!

მ ე ფ ე

არა! ჩვენ მაშინ ქოსატყუილამ ტყუილი გვითხრა.
იმ სიცრუისთვის საგმობია ქვეყნის წინაშე!

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი დ ა მ თ ე ლ ი გ უ ნ დ ი

ტახტზე დაბრძანდი, მეფეო!
სიცრუის მომგონებელსა
სასჯელი მიაგებეო.

მეფე ჯდება ტახტზე.

მ ე ფ ე

სვიმონ ხანს ხალხის დარბევისათვის მზეს არ ვაღირსებ!..

ქ ო ს ა ტ ყ უ ი ლ ა

რად დამცა რისხვა კეთილმა მეფემ!

რ ო ს ტ ო მ ბ რ ძ ე ნ ი (ქოსატყუილას)

მეორედ ნაყოფს შენგან არ ელის.

მ ე ფ ე (დოყლაპიას)

დოყლაპია!
გნიშნავ გამწკეპლავად!

და ვინც როსტომზე იტყვის,
რომ ის ბრძენია,
მას გაუჩინე
ტყავზე გენია!
ნაცარქექიას რადგან მივეც სიტყვა მეფური,
კვლავ დაუბრუნდეს მისი ცოლი
გლეხად შობილი...

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა

ვნახე გულქანას მშვენიერება,
ახლა ვზეიმობ მეორედ შეყრას.

იწყება კარნავალი. მოდღესასწაულე ხალხს შემოჰყავს ნიღბები. იწყება სვიმონ ხანისა და ნიღბების გარშემო ოხუნჯობა, რომელიც გადადის საერთო ცეკვაში.

1934